

დამტკიცებულია 2016 წლის 25 მაისის
№3 აკადემიური საბჭოს დადგენილებით
ცვლილებებია შესული 2018 წლის 02 აპრილის
№5 აკადემიური საბჭოს დადგენილებით

**შპს „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმის“
სტუდენტთა ეთიკის კოდექსი**

**ბათუმი
2016წ**

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. შესავალი

1. სტუდენტის ეთიკის კოდექსი (შემდგომში - „ეთიკის კოდექსი“) არეგულირებს სტუდენტის ქცევის წესებს, რომელსაც სტუდენტი იცავს საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობისას სასწავლო უნივერსიტეტში, აგრეთვე სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს.
2. ეთიკის კოდექსის მიზანია, დანერგოს სტუდენტის ქცევის ერთიანი წესები.
3. ეთიკის კოდექსი ხელს უწყობს სტუდენტის მიერ საკუთარი ქცევის მართვას, დისციპლინასა და ურთიერთპატივისცემის, სასწავლო უნივერსიტეტში კეთილგანწყობილი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს დამკვიდრებას.
4. ეთიკის კოდექსი ვრცელდება შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმში“ (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) ჩარიცხულ ყველა სტუდენტზე.
5. სტუდენტი იზიარებს სასწავლო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ღირებულებებს და იცავს ამ კოდექსით დადგენილ წესრიგს.

მუხლი 2. სტუდენტთა ვალდებულებები

1. ყველა სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს სასწავლო უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებსა და ეთიკის კოდექსს.
2. სტუდენტი ვალდებულია სისტემატიურად დაესწროს ყველა ლექციასა და პრაქტიკულ მეცადინეობას.
3. სტუდენტი ვალდებულია აკონტროლოს საკუთარი მეტყველება, ქცევა და მანერები არა მხოლოდ სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, არამედ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ღონისძიების მიმდინარეობისას.
4. სტუდენტი ვალდებულია გაუფრთხილდეს, არ დაკარგოს და დააბრუნოს ყველა ის ნივთი, რომელსაც სასწავლო უნივერსიტეტი მას დროებითი სარგებლობისათვის გადასცემს.
5. ნივთის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, იგი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზარალი.
6. სტუდენტი ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტს დაუბრუნოს გატანილი წიგნი, სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით განსაზღვრულ ვადაში.
7. სტუდენტი ვალდებულია იყოს თავაზიანი და ყურადღებიანი სხვათა მიმართ. ქცევა ან სიტყვიერი მიმართვა, რომელიც შეურაცხყოფს სხვათა ღირსებას, არღვევს პიროვნების ემოციურ და ფიზიკურ მდგომარეობას, ითვლება დისციპლინურ გადაცდომად.
8. სტუდენტი ვალდებულია გაუფრთხილდეს სასწავლო უნივერსიტეტის შენობას, მასში არსებულ მოწყობილობებს და აღჭურვილობას და დაზიანების შემთხვევაში აღადგინოს იგი თავად ან სხვათა დახმარებით.

მუხლი 3. სტუდენტის პირადი გასინჯვა

1. პირადი გასინჯვა – მოქმედება, რომლის მიზანია დისციპლინური გადაცდომის იარაღის, იმ საგნის, რომელსაც დისციპლინური გადაცდომის კვალი ატყვია, დისციპლინური გადაცდომით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და დოკუმენტის, რომლებიც საჭიროა დისციპლინური გადაცდომის

გარემოებათა გასარკვევად, აღმოჩენა და ამოღება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით საამისოდ განსაზღვრულ უფლებამოსილი პირის მიერ.

2. დაუშვებელია სტუდენტთა კოლექტიური პირადი გასინჯვა.

3. დაუშვებელია სტუდენტის პირადი გასინჯვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულებები მიუთითებს კონკრეტულ პირზე და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი.

4. სტუდენტის პირადი გასინჯვის უფლება აქვს იმავე სქესის წარმომადგენელს.

5. სტუდენტს უფლება აქვს პირად გასინჯვასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

მუხლი 4. სტუდენტის ჩაცმულობის წესი და გარეგნული სახე

1. სტუდენტი უნდა იმოსებოდეს თავისი შეხედულებისამებრ. დაუშვებელია გამომწვევი და ვულგარული ჩაცმულობა.

2. დაუშვებელია იმგვარი სამოსელის ტარება, რომელზეც წერია შეურაცხმყოფელი გამონათქვამი ქართულ ან/და უცხო ენაზე, გამოსახულია ვულგარული სურათი ან/და კარიკატურა.

მუხლი 5. სტუდენტთა დისციპლინური საქმის წარმოების თავისებურებანი

1. სტუდენტთა დისციპლინური წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსით დადგენილი წესები.

2. სტუდენტთა დისციპლინურ გადაცდომად ითვლება:

ა) ლექციის ან პრაქტიკული მეცადინეობის ჩაშლა ან ჩაშლის მცდელობა; ლექციის ან პრაქტიკული მეცადინეობის წინასწარი შეთანხმების და გაფრთხილების გარეშე, ფარული ვიდეო/ფოტო/აუდიო ჩანაწერის განხორციელება/გავრცელება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეთანხმებული სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

ბ) აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციის და დამხმარე პერსონალის სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შემუსული გარეშე პირის ან სტუდენტის მიმართ, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, ძალადობისაკენ მოწოდება, ცილისწამება;

გ) სასწავლო უნივერსიტეტის ქონების, შენობის, ინვენტარის განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანება (მერხზე და სხვა ინვენტარზე წარწერის გაკეთება, კომპიუტერების, ლაბორატორიული მოწყობილობების, ავეჯის და სხვა ინვენტარის დაზიანება), ასევე სტუდენტის საკუთრების განზრახ ხელყოფა, დაზიანება, განადგურება, საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, ნივთის მოტყუებით გამოთმევა ან გამოძალვა, ამ ქმედებათა მცდელობა, მათ შორის ჩადენილი მოტყუებით ან მუქარით;

გ¹) სასწავლო უნივერსიტეტის მოძრავი ქონების არამართლზომიერი და უნებართვო გამოყენება ნებისმიერი მიზნით;

დ) სასწავლო უნივერსიტეტში შემდეგი ნივთებით გამოცხადება: ალკოჰოლური საშუალებებით; აზარტული თამაშის საშუალებები; უხამსობის ამსახველი ნივთები და ფოტოები;

ე) სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება;

ვ) სასწავლო უნივერსიტეტში შემდეგი ნივთებით გამოცხადება: ყველანაირი სახის იარაღი ან ბასრი ნივთები; რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას იარაღად;

ნარკოტიკული საშუალებები; ასაფეთქებელი და მომწამვლავი ნივთიერებები, ფსიქოტროპული საშუალებების გამოყენება ექიმის შესაბამისი ნებართვის გარეშე;

ზ) ლექტორის/მოწვეული პედაგოგის/ადმინისტრაციის თანამშრომლის/სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შემუსული გარეშე პირის ან თანაკურსელის მიმართ, ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება;

თ) სოციალური ქსელით, ან მასობრივი ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებით, სასწავლო უნივერსიტეტისათვის პრესტიჟის, საქმიანი რეპუტაციის შელახვა. სასწავლო უნივერსიტეტის პრესტიჟის და საქმიანი რეპუტაციის შელახვად განიხილება აგრეთვე, ცრუ და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება;

ი) სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ნებისმიერი ლეგიტიმური მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა.

3. დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის სტუდენტის მიმართ გამოიყენება შემდეგი დისციპლინური სახდელეები:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) შრომითი სამუშაოს შესრულება, სასწავლო უნივერსიტეტში, ადმინისტრაციულ ან დამხმარე პერსონალთან სალექცია/პრაქტიკული მეცადინეობიდან თავისუფალ დროს, 15 დღიდან 30 დღის ვადით, დღეში არანაკლებ ორი საათით დასაქმება;

დ) მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ფაქტობრივად ან ფინანსური სახით;

დ¹) ბლოკის ან/და ფინალურ გამოცდაზე დაუშვებლობა;

ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

4. დისციპლინური კომიტეტი ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისას იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე.

მუხლი 6. სტუდენტთა დისციპლინური წარმოება

1. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) სტუდენტის, სტუდენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, მესამე პირის, სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებული ნებისმიერი პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე;

ბ) დისციპლინური გადაცდომის ფაქტის აღმოჩენა ან ეჭვი რომელიც იწვევს, რომ ადგილი აქვს სტუდენტის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს.

2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, აგრეთვე დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სტუდენტს, თუ სტუდენტი არასრულწლოვანია, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ამის შესახებ მის მშობელს. სტუდენტს უფლება აქვს მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ან ადვოკატთან ერთად წარდგეს.

3. სტუდენტს დისციპლინური სახდელი ვადაზე ადრე შეიძლება მოეხსნას თუ სტუდენტმა არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა, გამოირჩევა სანიმუშო ქცევით და აქვს გარკვეული მიღწევები. დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი. გადაწყვეტილება ფორმდება რექტორის ბრძანებით და შეიტანება სტუდენტის პირად საქმეში.

4. სტუდენტის დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადა მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "დ" და "ე" ქვეპუნქტებით ჩადენილი გადაცდომა შეადგენს 2 (ორი) თვეს. თუ სტუდენტს 2(ორი) თვის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური სახდელი, იგი

ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "ა", „ბ“, „გ“, „გ1“ ქვეპუნქტებით ჩადენილი გადაცდომის მოქმედების ვადა შეადგენს 3 (სამი) თვეს, თუ სტუდენტს 3(სამი) თვის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური სახდელი, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ, იმავე მუხლის მე-2 პუნქტის, "ვ", „ზ“ „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით ჩადენილი გადაცდომის მოქმედების ვადაა 4 (ოთხი) თვე, თუ სტუდენტს 4 (ოთხი) თვის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური სახდელი, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.

5. დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში სტუდენტის მიმართ არ გამოიყენება წახალისების ფორმები. გამონაკლისი შეიძლება დადგინდეს რექტორის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 7. დისციპლინური გადაცდომის განმხილველი ორგანო

1. დისციპლინური კომიტეტის დაკომპლექტება ხდება რექტორის ბრძანების საფუძველზე.
2. დისციპლინური კომიტეტზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება თავმჯდომარის ხმას.
3. დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე წარმართავს დისციპლინური საქმის განხილვას, თავმჯდომარის არჩევა ხდება კომიტეტის წევრების ყოველი სხდომის დაწყების წინ.
4. დისციპლინურ კომიტეტის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომის ოქმით.
5. დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.
6. დისციპლინური კომიტეტის ოქმი სახდელის დაკისრების თაობაზე, ბრძანების გამოცემის მიზნით ეგზავნება რექტორს.

მუხლი 8. დისციპლინური სამართალწარმოების წესი

1. დისციპლინური კომიტეტი ვალდებულია დისციპლინური წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.
2. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია:
 - ა) გამოითხოვოს დოკუმენტები;
 - ბ) შეაგროვოს ცნობები;
 - გ) მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს;
 - დ) დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი;
 - ე) გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები;
 - ვ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.
3. სტუდენტს უფლება აქვს დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით. დუმილის უფლება არ ათავისუფლებს მას დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან.

4. დისციპლინურ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით.

მუხლი 9. დისციპლინური წარმოების დაწყების ხანდაზმულობის ვადა

1. დისციპლინური წარმოება შეიძლება დაიწყოს დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან ან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტის გამოვლენიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) წლისა.

მუხლი 10. სტუდენტთა ეთიკის კოდექსში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანის წესი

1. ეთიკის კოდექსში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე.